პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე

შპს „ორიენტირი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

შორენა ხუბუნაია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

<u>წევრები:</u>

ირინე ფხაკაძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ბარბარე გონაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ორიენტირი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **200011904**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის N540 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ირინე ფხაკაძე (ჯგუფის წევრი), ბარბარე გონაშვილი (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 11 და 12 ივლისს განახორციელა ვიზიტი **შპს „ორიენტირში“**. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„კბილის სატექნიკო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „საექთნო განათლება“, „ღონისძიების ორგანიზება“, „საფინანსო სერვისები“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების პრაქტიკა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულებაში განხორციელებული ექსპერტთა წინარე ვიზიტებით. შპს ორიენტირში ავტორიზაციის ექსპერტთა ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2016 წელს, როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია. აღნიშნულ დასკვნაში ექპერტთა მხრიდან რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(თბილისი, 2019)

	შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია	**მუხლი 7 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(თბილისი, 2019)

	საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

(თბილისი, 2019)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი - 1. საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1.1

რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ გაფორმებულ მემორანდუმში კონკრეტულად მიეთითოს იმ პროფესიული მოდულების ჩამონათვალი, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს აღნიშნული ობიექტი (მაგ. შპს "დენტალ ლაბთან" გაფორმებული მემორანდუმი).
2. რეკომენდებულია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებსა და მის დანართებში ერთი და იგივე დოკუმენტი მოხსენიებულ იქნეს ერთი და იმავე დასახელებით.

ქვესტანდარტი 1.4

რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები. თითოეული გარემოება, რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზს, სასურველია იყოს ცალსახად ფორმულირებული და არ არღვევდეს პროფესიული სტუდენტის უფლებებს;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

ქვესტანდარტი 1.6

რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომელიც სრულად მოიცავს ინსტიტუციას და შეაფასებს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს;
2. რეკომენდებულია ხარისხის მართვის სამსახურმა შეიმუშაოს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, გეგმის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

განახორციელოს ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის შეფასება/მონიტორინგი და გასცეს რეკომენდაციები პროცესების სრულყოფისათვის;
3. რეკომენდებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი დაკომპლექტდეს დარგობრივი ნიშნით და ჯგუფის მუშაობა წარმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული ნიშნით (მაგ. განათლების (ბაგა-ბაღის აღმზრდელი) მიმართულების დარგობრივი ჯგუფი, ფინანსების მიმართულების დარგობრივი ჯგუფი და სხვა). ამასთან, პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისა და მოდულის კალენდარული გეგმის შემოწმების პროცესი სასურველია განახორციელოს დარგის სხვა სპეციალისტებმა/მასწავლებლებმა.

სტანდარტი 2. მატერიალური რესურსი

ქვესტანდარტი 2.9

რეკომენდაცია

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმების შედგენის დროს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით გაითვალისწინოს და დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელიც არ წარმოადგენს თანამშრომელთა ყოველდღიურ/ძირითად საქმიანობას/ვალდებულებას, რაც ექსპერტთა აზრით, უკვე ისედაც განსაზღვრულია მათი სამუშაოს აღწერილობებით, არამედ სამოქმედო გეგმის შედგენისას შეარჩიოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ინსტიტუციური განვითარებისკენ და წარმოადგენს სიახლეს ან პროცესების გაუმჯობესებას დაწესებულებისათვის, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის სტრატეგიულ განვითარებას;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ წლიურ გეგმაში განსაზღვროს თითოეული აქტივობის შესრულების რისკები, საჭირო რესურსები (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური) და სრულად მიუთითოს თითოეული აქტივობის განხორციელების პერიოდი/ვადები.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმებში დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელთა შესრულების პასუხისმგებლობას თავად აიღებს.
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაადგინოს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა და განსაზღვროს კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, პირი ან ჯგუფი, რომელიც განახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სტანდარტი 3. ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტი 3.2

რეკომენდაცია

1. რეკომენდებულია კოლეჯმა სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკური მოდულების განხორციელების დაგეგმვისა და პასუხისმგებელი პირების/ექთნების შერჩევის დროს, გააანალიზოს ამ დაწესებულებათა პროფილი, მათ ბაზაზე არსებული ჯანდაცვის სერვისები და შესაძლო სამედიცინო მომსახურების სფერო. შედეგად კი, აქ შერჩეული პირები/ექთნები ადექვატურად შეძლებენ ამა თუ იმ მოდულის სწავლებას/ხელმძღვანელობას შესაბამის კლინიკურ გარემოში, სადაც ისინი თავად ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას, რაც მნიშვნელოვანია მოდულის სწავლის შედეგის მისაღწევად;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიას წარმოადგენს სამედიცინო, განათლებისა და ბიზნესის სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მაღალ დონეზე რეალიზებული ადამიანური რესურსის მომზადება, რომელიც შეძლებს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „ორიენტირში“ (შემდგომში „დაწესებულება“, „კოლეჯი“) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორი, რაც განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **დებულების** მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თ) ქვეპუნქტით. დაწესებულებაში ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის/ადაპტირების პროცედურა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების** მე-2 მუხლში, რომლის მიხედვითაც: მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირები - პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ხელმძღვანელები, შესაძლებელია შიდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდეს პოტენციური დამსაქმებელი/დამსაქმებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებით და გამოთხოვილ იქნა იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცების პროცედურების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით: დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის №01/07 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა დაწესებულების მიერ დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება და პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა. სამუშაო ჯგუფმა სამსახურებრივი ბარათით წარუდგინა დირექტორს მიზანშეწონილობის დასაბუთება, ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. დაწესებულება დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაეყრდნო კოლეჯის გამოცდილებას სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და ბაზრის კვლევას, რომელიც უკავშირდება დასაქმების მაჩვენებლებსა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს. დაწესებულების დირექტორმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტები და გამოსცა ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, რის შედეგადაც დადგინდა:

<u>1. საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“</u>

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა იმ მოდულების დაწყებამდე, რომელთა წინაპირობასაც წარმოადგენენ ეს მოდულები, ხელმეორედ სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. წინაპირობის არმქონე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით შეფასების შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებს აქვთ პროგრამის დასრულებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 85 კრედიტი, ხანგრძლივობა: 66 კვირა (16,5 სასწ. თვე), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - პროგრამის მოცულობა: 115 კრედიტი, ხანგრძლივობა: 86 კვირა (21,5 სასწ. თვე).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კბილის სატექნიკო საქმე“ სტუდენტმა კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს ჯამურად 85 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 70 კრედიტი არის პროფესიული მოდულები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

- **შპს „ერთობა“** (მემორანდუმი 09/112, 19.03.2019, გაფორმებულია 5 წლის ვადით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 30 სტუდენტს (მათ შორის ერთდროულად მოემსახურება 15 სტუდენტს). პრაქტიკის ობიექტი მის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი მოდულებით სწავლის შედეგების მიღწევის და მათი დადასტურების შესაძლებლობას. მემორანდუმის თანახმად, პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან შემდეგ მოდულებს:
  - გაცნობითი პრაქტიკა - დენტალური საქმე;
  - პირის ღრუს ანატომიური სტრუქტურის იდენტიფიცირება;
  - კბილის მაგარ და რბილ ქსოვილთან დაზიანების იდენტიფიცირება;
  - მასალათმცოდნეობა და მისი გამოყენება.

- **შპს “დენტალლაბი“** (მემორანდუმი 09/74, 10.11.2018, 5 წლის ვადით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 30 სტუდენტს (მათ შორის ერთდროულად მოემსახურება 8 სტუდენტს). პრაქტიკის ობიექტი მის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი მოდულებით სწავლის შედეგების მიღწევის და მათი დადასტურების შესაძლებლობას. <u>მემორანდუმი არ მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას განსახორციელებელი მოდულების შესახებ,</u> თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში - „კბილის სატექნიკო საქმე“ ჩამოთვლილი 14 დარგობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

მოდულის განხორციელების ადგილად მითითებულია სწორედ შპს "დენტალლაბი", მათ შორის:

1. გაცნობითი პრაქტიკა-დენტალური საქმე;
2. მასალათმცოდნეობა და მისი გამოყენება;
3. სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობილობა;
4. მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება;
5. ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზების მომზადება, პოლიმერიზაცია;
6. მარტივი ბიუგელისებური პროთეზის დამზადება;
7. მეტალის ჩამოსხმის ტექნოლოგია;
8. მეტალოკერამიკა;
9. ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია;
10. კად კამი და სინთერიზაცია;
11. რთული ბიუგელისებური პროთეზი საკეტისებური სამაგრით;
12. მოუხსნელი იმპლანტკონსტრუქციები;
13. ცირკონოკერამიკა;
14. მოსახსნელი იმპლანტკონსტრუქციები.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდული ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა, უცხოური ენის ზოგადი მოდულის დასახელება სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში - სტრუქტურა და მოდულები, მითითებულია „უცხოური ენა," ამავე დოკუმენტის დანართების პუნქტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დასახელებაში მითითებულია - „ინგლისური ენა".

<u>2. საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)"</u>

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი, ხანგრძლივობა: 84 კვირა (21 სასწ. თვე), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - პროგრამის მოცულობა: 150 კრედიტი, ხანგრძლივობა: 104 კვირა (26 სასწ. თვე). პროგრამის შემადგენლობაში შედის 3 ზოგადი (11 კრედიტი) და 26 პროფესიული მოდული (109 კრედიტი).

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

„ფარმაციის“ (სააფთიაქო) პროფესიული პროგრამის სტუდენტების პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფისა და „ფარმაციის“ სააფთიაქო პროფესიული პროგრამის სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:

- **„პსპ ფარმა“,** ხელშეკრულება №09/75, 22.11.2018, დადებულია 2025 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულების თანახმად, პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან 8 პროფესიულ დარგობრივ მოდულს:
  - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
  - მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება;
  - პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
  - მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
  - მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
  - მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
  - მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
  - მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაესაუბრა „პსპ ფარმაში“ პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელმაც დაადასტურა, რომ შპს „პსპ ფარმა“-ს მიერ უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/თეორიული კომპონენტის განხორციელებისა და სასწავლო მიზნებისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. შეთანხმების საფუძველზე: „შემსრულებელს შეუძლია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ერთდროულად მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 120 პროფესიულ სტუდენტს“.

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა იმ მოდულების დაწყებამდე, რომელთა წინაპირობასაც წარმოადგენენ ეს მოდულები, ხელმეორედ სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. წინაპირობის არმქონე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით შეფასების შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებს აქვთ პროგრამის დასრულებამდე.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდული ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა, უცხოური ენის ზოგადი მოდულის დასახელება სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში - სტრუქტურა და მოდულები, მითითებულია „უცხოური ენა," ამავე დოკუმენტის დანართების პუნქტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დასახელებაში მითითებულია - „ინგლისური ენა".

<u>3. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება"</u>

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით (ცვლ. 03.06.2019); საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობაა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 180 კრედიტი (ზოგადი და პროფესიული მოდულები), ხანგრძლივობა: 125 კვირა (31,25 სასწ. თვე), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - პროგრამის მოცულობა: 210 კრედიტი, ხანგრძლივობა: 145 კვირა (36,25 სასწ. თვე). პროგრამის საწავლო გეგმა შედგენილია მოდულების მემკვიდრეობითობის დაცვით.

პროგრამის შემადგენლობაში შედის ზოგადი (9 კრედიტი), ასევე პროფესიული მოდულები (171 კრედიტი), მათ შორის:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული არანაკლებ 180 კრედიტი და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურები რეგულირდება შპს „ორიენტირის" დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მართვის დებულების** მე-19 და მე-20 მუხლებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საექთნო განათლებლის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების მოდულებსაც. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება შეადგენს სრული მოცულობის ნახევარს - 90 კრედიტს. კლინიკური სწავლების მოდულები ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები/ხელშეკრულებები, მათ შორის:

- კორპორაცია სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ხელშ. №09/115, 1 აპრილი, 2019 წ.
- „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ ხელშ. №09/02, 22 იანვარი, 2019 წ.

შპს ორიენტირსა და კორპორაცია **სს „ევექსის ჰოსპიტლებს“** შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს კორპორაციის მიერ გამოყოფილი პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშგებას/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას, პროფესიული სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილებას, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის უფლებამოსილებას. ხელშეკრულების პირობების თანახმად: პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. კორპორაცია **სს „ევექსის ჰოსპიტლებს“** შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კორპორაცია 7 ბაზაზე მზადაა ერთდროულად მიიღოს 84 პროფესიული სტუდენტი.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსი ჰოსპიტლების“ ბაზაზე განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის მოვლა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მოვლა
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის მოვლა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მოვლა
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდული ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა, უცხოური ენის ზოგადი მოდულის დასახელება სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში - სტრუქტურა და მოდულები, მითითებულია „უცხოური ენა-საექთნო საქმე," ამავე დოკუმენტის დანართების პუნქტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დასახელებაში მითითებულია - „ინგლისური ენა-საექთნო საქმე".

„საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის" ბაზაზე განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" შემდეგი პრაქტიკული მოდული: შინმოვლა. **„საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან"** გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკის ობიექტის მიერ განსაზღვრული პირობა ეხება ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20- ს, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის ჩანაწერი თუ რამდენი ჯგუფის მიღებას შეძლებს პრაქტიკის ობიექტი.

პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტისა და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (ბრძ. 01/109, 28.12.2018), კერძოდ:

- საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებია ქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში;
- საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება (სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება);
- ინგლისური ენის მინიმუმ A1 დონეზე ფლობა;
- კომპიუტერული უნარები: საოფისე პროგრამების კარგი ფლობა.

აღნიშნული ბრძანებით 01/109, 28. 12.2018 განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესამოწმებლად დაწესებულებაში შეიქმნა სპეციალური დროებითი კომისია, შერჩეული იქნა 12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ექთანი კლინიკურ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვის მიზნით (დამტკიცებული ტესტირების წესით ბრძ.01/109, 28. 12.2018).

4. საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით. დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა იმ მოდულების დაწყებამდე, რომელთა წინაპირობასაც წარმოადგენენ ეს მოდულები, ხელმეორედ სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. წინაპირობის არმქონე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით შეფასების შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებს აქვთ პროგრამის დასრულებამდე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს 46 კრედიტის ოდენობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია შეადგენს 61 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა - 9.75 სასწავლო თვე (39 კვირა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - შეადგენს 91 კრედიტს, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა - 14.75 სასწავლო თვე (59კვირა).

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდული ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა, უცხოური ენის ზოგადი მოდულის დასახელება სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში - სტრუქტურა და მოდულები, მითითებულია „უცხოური ენა,“ ამავე დოკუმენტის დანართების პუნქტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დასახელებაში მითითებულია - „ინგლისური ენა“.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- **იმ „ლურჯა ცხენები“** – 14.03.2018 წელი. ხელშეკრულება გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: ხელშეკრულების საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.

- **შპს „მოზაიკა პლიუსი“** – 12.02.2019 წელი, №09/98. მემორანდუმი გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: მემორანდუმის საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.

- **სს „გუდვილი“** – 11.02.2019 წელი, №09/97. მემორანდუმი გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: მემორანდუმის საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.

- **სსიპ „საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი“** – 01.03.2018 წელი, №09/07. ხელშეკრულება გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: ხელშეკრულების საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.

- **შპს „ნეივერლენდ პრომო“** – 01.03.2018 წელი, №09/08. ხელშეკრულება გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: ხელშეკრულების საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.
- **ა(ა)იპ „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია“** – 14.03.2018 წელი, №09/11. ხელშეკრულება გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: ხელშკრულების საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს.

5. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 9,25 თვე (37 კვირა). პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 12,25 სასწავლო თვე (49 კვირა). პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებულია შეთანხმება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (№14062018-01; 09/27; 14 ივნისი 2018 წ. მემორანდუმის მიხედვით - შეთანხმება მიზნად ისახავს კოლეჯი ორიენტირის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

კადრების მომზადებას. საინფორმაციო-ტექნოლოგიების საფინანსო-საბანკო საქმიანობისთვის გამოყენების პოპულარიზაციას, საფინანსო სერვისების პროფესიული სპეციალობის პრაქტიკული და სასწავლო კომპონენტების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერას. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია 2 წლის ვადით.

დაწესებულებას სურს პროგრამა განახორციელოს კოლეჯში სწავლების (მოდულური) მიდგომით. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო გეგმაში პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათიან დატვირთვას. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვერ დაძლევენ მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, აქვთ შესაძლებლობა იმ მოდულების დაწყებამდე, რომელთა წინაპირობასაც წარმოადგენენ ეს მოდულები, ხელმეორედ სცადონ სწავლის შედეგების დადასტურება. წინაპირობის არმქონე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით შეფასების შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებს აქვთ პროგრამის დასრულებამდე.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდული ადაპტირებულია და მოიცავს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციას. არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა, უცხოური ენის ზოგადი მოდულის დასახელება სხვადასხვა დოკუმენტში განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 პუნქტში - სტრუქტურა და მოდულები, მითითებულია „უცხოური ენა," ამავე დოკუმენტის დანართების პუნქტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დასახელებაში მითითებულია - „ინგლისური ენა".

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

- **სს „კრედო ბანკი"** – 10.04.2019 წელი, №09/115. მემორანდუმის სახელწოდებაა სს „კრედო ბანკში" არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირება/პრაქტიკის შპს „ორიენტირის" პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. თუმცა, დოკუმენტის მიხედვით „მემორანდუმის საგანს წარმოდგენს მხარეთა სურვილი, რათა კოლეჯსა და კრედოს შორის შესაძლებელი გახდეს ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს კრედოში საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის/კურსდამთავრებულებისათვის საწარმოო პრაქტიკის/სტაჟირების გავლის უზრუნველყოფას." მემორანდუმში მხარეთა უფლება-მოვალეობების ნაწილში კი მოცემულია სს **კრედო ბანკში** არსებული ვაკანსიების მიწოდების თაობაზე დებულებები, ამასთან, დოკუმენტის 2.3 პუნქტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად კრედო არ იღებს არანაირ ვალდებულებას კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებაზე და პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების შემდგომი შესაძლო დასაქმება დამოკიდებული იქნება მხოლოდ მათ უნარებზე და შედეგებზე, რომელსაც ისინი გამოავლენენ შესაბამისი ვაკანსიისათვის შესარჩევ საკონკურსო პროცესში, სხვა ყველა კანდიდატთან თანაბარ პირობებში". მემორანდუმში არ არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცედურული საკითხები და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. აღნიშნული მემორანდუმის საგანი და მისი ძირითადი ტექსტი არ არის ერთმანეთის შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ზემოაღნიშნული მემორანდუმი არ წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტის მზაობას/თანხმობას ჩაერთოს საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. თუმცა ოფიციალური შეთანხმების (მემორანდუმი/ხელშეკრულება) საფუძველზე, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას შერჩეული ჰყავს სხვა ობიექტები.

- **შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბიზნეს სტარტაპ კრედიტი"** – 22.06.2018 წელი, №09/28. მემორანდუმი გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: მემორანდუმის საგანია - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები.პრაქტიკის ობიექტი მიიღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტს.

- **სს „გუდვილი"** – 11.02.2019 წელი, №09/97. მემორანდუმი გაფორმებულია 5 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: მემორანდუმის საგანი - პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს 30 პროფესიულ სტუდენტს.

- **შპს „ლუქსი"** – 24.05.2018 წელი, №09/19. მემორანდუმი გაფორმებულია 4 წლის ვადით და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოცემულია: მემორანდუმის საგანი - პროგრამის პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

კომპონენტის პრაქტიკის განხორციელების თაობაზე. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პირობები (სტუდენტთა სიის მიწოდების, კომპონენტის სწავლების დაწყებისა და დასრულების თარიღები და სხვა), მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პროცედურული საკითხები. პრაქტიკის ობიექტი მიიღებს 30 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტს.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს „საწარმოო პრაქტიკის წესში“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის №01/42 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომების გადამოწმების მიზნით, ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე პრაქტიკის ობიექტთან მიმოწერა. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც მოცემული იყო პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია და ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის დაწყებისა და დასრულების შესახებ.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესის 21-ე მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

ა) კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;

ბ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე.

ვ) კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

დაწესებულებას არ ჰყოლია შშმ პროფესიული სტუდენტები. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის კოლეჯის მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) რაც აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესის მე - 17 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს მოდულური პროგრამების შემთხვევაში. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულების მიდგომების შეფასების მიზნით, ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები და შეფასების აღრიცხვის უწყისები. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაში იყო მოდულის სწავლის შედეგთან და შეფასების მიმართულებასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხუთივე პროფესიული საგანმანათოლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებს. სულ ინტერვიურება განხორციელდა 40 პირთან. მათ შორის: კბილის სატექნიკო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 5-ს. ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა - 9-ს. საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა - 13-ს. ღონისძიების ორგანიზების საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა - 4-ს. საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის რაოდენობა - 9-ს. პერსონალის უმეტესობას არ ჰქონდათ მოდულური პროგრამის სწავლების გამოცდილება. ისინი წარმოადგენდნენ დარგის სპეციალისტებს ან უმაღლესი განათლების საფეხურის განმახორციელებელ პირებს. თუმცა, გამოთქვეს მზაობა ჩაერთონ მოდულური მიდგომით სასწავლო პროცესში და ტრენინგებისა და თვითგანვითარების ღონისძიებების მეშვეობით, განახორციელებენ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და შეფასებას. პერსონალთა ნაწილი წარმოადგენდა პრაქტიკის ობიექტების (შპს „პსპ ფარმა“; სს „ევექსის ჰოსპიტლები“) წარმომადგენლებს. მათ გამოთქვეს სრული მხარდაჭერა ხელშეკრულებებში განსაზღვრული კომპონენტების სრულფასოვნად განხორციელების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა შემდეგი პრაქტიკის ობიექტები:

- შპს „დენტალ ლაბი“
- შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბიზნეს სტარტაპ კრედიტი“
- შპს „მოზაიკა პლიუსი“

ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის. პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი მზად არიან ჩაერთონ არამარტო პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაში, არამედ ისინი უზრუნველყოფენ მათ დასაქმებას კომპანიის მასშტაბების პროპორციულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ გაფორმებულ მემორანდუმში კონკრეტულად მიეთითოს იმ პროფესიული მოდულების ჩამონათვალი, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს აღნიშნული ობიექტი (მაგ. შპს "დენტალ ლაბთან" გაფორმებული მემორანდუმი).

2. რეკომენდებულია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებსა და მის დანართებში ერთი და იგივე დოკუმენტი მოხსენიებულ იქნეს ერთი და იმავე დასახელებით.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. შპს „ორიენტირის" დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **დებულება;**
2. შპს „ორიენტირის" დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მართვის დებულება;**
3. შპს „ორიენტირის" დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის №01/07 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
6. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით (ცვლ. 03.06.2019, ბრძ. №01/37);
7. საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
8. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
9. შპს „ორიენტირის" დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

10. დაწესებულების შიდა მონიტორინგის საოქმო გადაწყვეტილებები და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით;
11. შპს „დენტალ ლაბი“ – 10.11.2018 წელი, №09/74;
12. შპს „ერთობა“ – 19.03.2019 წელი, №09/112;
13. შპს „პსპ ფარმა“ – 22.11.2018 წელი, №09/75;
14. იმ „ლურჯა ცხენები“ - 14.03.2018;
15. შპს „მოზაიკა პლიუსი“ – 12.02.2019 წელი, №09/98;
16. სს „გუდვილი“ – 11.02.2019 წელი, №09/99;
17. სსიპ „საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირი“ – 01.03.2018 წელი, №09/07;
18. შპს „ნეევერლენდ პრომო“ – 01.03.2018 წელი, №09/08;
19. ა(ა)იპ „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია“ – 14.03.2018 წელი, №09/11;
20. შპს ,,ალტა სოფთვეარი“ - 14.06.2018, №14062018-01; 09/27;
21. სს „კრედო ბანკი“ – 10.04.2019 წელი, №09/115;
22. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბიზნეს სტარტაპ კრედიტი“ – 22.06.2018 წელი, №09/28;
23. სს „გუდვილი“ – 11.02.2019 წელი, №09/99;
24. შპს „ლუქსი“ – 24.05.2018 წელი, №09/19;
25. სს კარიტასი - 22.01.2019, №09/02;
26. სს „ევექსის ჰოსპიტლები“ – 01.04.2019, №09/115;
27. სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები (ნამუშევრები), უწყისები;
28. პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერა;
29. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2019), რომელშიც მოცემულია: ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

კოლეჯის მისია, კოლეჯის უპირატესობები, იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას, კერძოდ: პროგრამის დასახელება, დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების წესი, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და დებულებები შშმ და სსსმ პირების სწავლებისათვის.

კატალოგში ანონსის სახით მოცემულია ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების სურვილიც აქვს დაწესებულებას.

კატალოგი ინფორმაციული ხასიათისაა და გარდა ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციისა, მასში ასახულია იმ პარტნიორი დაწესებულებების თაობაზე მონაცემები, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. კატალოგის ბოლოს მოცემულია დაწესებულების სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტო კოლაჟი.

კატალოგი თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, სადაც ასევე განთავსებულია კატალოგების არქივი (2017 წელი, 2018 წელი).

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2019);
2. http://orientiri.edu.ge.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

<u>**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**</u>:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კბილის სატექნიკო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „საექთნო განათლება“, „ღონისძიების ორგანიზება“, „საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დოკუმენტებთან, რაც დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამების შედარებით შემდეგ ჩარჩო დოკუმენტებთან:

- ჩარჩო დოკუმენტი - **დენტალური საქმე,** დამტკიცების თარიღი - N764/ი. 22.08.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 87/ი;
- ჩარჩო დოკუმენტი - **ფარმაცია (სააფთიაქო)**, დამტკიცების თარიღი - N407/ი. 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N 274/ი;
- ჩარჩო დოკუმენტი - **საექთნო განათლება**, დამტკიცების თარიღი - N407/ი. 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N 274/ი;
- ჩარჩო დოკუმენტი - **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება,** დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია - 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 80/ი;
- ჩარჩო დოკუმენტი - **საფინანსო სერვისები,** დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 6 თებერვალს, ბრძანება N 110/ი.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
3. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით (ცვლ. 03.06.2019, ბრძ.№01/37);
4. საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით;
6. ჩარჩო დოკუმენტი - **კბილის სატექნიკო საქმე**, დამტკიცების თარიღი - N764/ი. 22.08.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 87/ი;
7. ჩარჩო დოკუმენტი - **ფარმაცია (სააფთიაქო)**, დამტკიცების თარიღი - N407/ი. 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N 274/ი;
8. ჩარჩო დოკუმენტი - **საექთნო განათლება**, დამტკიცების თარიღი - N407/ი. 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N 274/ი;
9. ჩარჩო დოკუმენტი - **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება,** დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია - 2019 წლის 31 იანვარს, ბრძანება N 80/ი;
10. ჩარჩო დოკუმენტი - **საფინანსო სერვისები,** დამტკიცების თარიღი - N656. 13.10.2017, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 6 თებერვალს, ბრძანება N 110/ი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მართვის დებულების** მე - 6 მუხლით, რომლის მიხედვითაც: შპს „ორიენტირში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ განისაზღვრება დამატებითი პირობა. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის ფარგლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით-ბრძანებით, რომელშიც მოცემულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, სწავლის საფასური, თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. ამავე დებულებით განსაზღვრულია უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა შიდა სამართლებრივი აქტი - ბრძანება და ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მფლობელი პირი არასრულწლოვანია, სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან. ამავე დებულების 6.7 პუნქტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემისა და მასთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შესაბამისი მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. ამავე დებულების მე-7 მუხლი არეგულირებს არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებები. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრულია:

დ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;

თ) ორსულობისა და ახალშობილის მოვლა.

ექსპერტთა აზრით, ბუნდოვანია დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ზემოაღნიშნული დ) ქვეპუნქტი, ვინაიდან გაუგებარია პროფესიული სტუდენტის მიერ რამდენი დღის გაცდენა/არგამოცხადება ითვლება კოლეჯთან ურთიერთობის გაწყვეტად.

ამავე დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ზემოაღნიშნული თ) ქვეპუნქტი საჭიროებს დაზუსტებას. ვინაიდან თუ აღნიშნული მიზეზი (ორსულობა) ხელს არ უშლის კოლეჯში მეცადინეობებზე გამოცხადებასა და შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას, ორსულობა არ შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

ზემოაღნიშნული დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება პროფესიული სტუდენტის ადგილსამყოფელი, ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, მათ შორის, კოლეჯის ვებგვერდის მეშვეობით“. ექსპერთა ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული ჩანაწერით.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, ზემოაღნიშნული საფუძვლებით შეუჩერდა თუ არა პროფესიულ სტუდენტებს სტატუსი. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ საფუძვლით არცერთი პროფესიული სტუდენტისათვის არ შეუჩერებიათ სტატუსი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმდა დაწესებულებაში პირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცულობა. დაწესეულებაში არ არის დარეგულირებული პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. შესაბამისად, სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები შეუსაბამოა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონთან.

სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-9 მუხლში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-10 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოებებს. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და არ ეწინააღმდეგება პროფესიული სტუდენტის ინტერესებს.

სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-11 მუხლში განხილულია შიდა და გარე მობილობის პროცედურები, რომლის მიხედვითაც: მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს დირექტორს. მობილობით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე გამოიცემა დირექტორის ბრძანება.

სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს არეგულირებს **სასწავლო პროცესის მართვის დებულების** მე-12 და მე-13 მუხლები.

დაწესებულება **სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-14** მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს მაშინ, როცა:

- სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

- მობილობით გადმოსული პირის სწავლის შედეგები განსხვავებულია კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;

- პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

ამავე მუხლით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა.

დაწესებულებაში ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, მათ შორის არასრულწლოვანი და უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულება აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემას, სადაც შეყვანილია ინფორმაცია დაწესებულების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ. დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებში გაწერილია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანის ვადები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დაწესებულებამ მიმდინარე წელს განახორციელა გარე მობილობით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტისათვის გარე მობილობით ჩარიცხვის თაობაზე დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის საფუძველი იყო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი მობილობით გადმომსვლელი პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების თაობაზე, რომელსაც თან ახლდა მობილობით გადმომსვლელი პირის მიერ ასათვისებელი კრედიტების თაობაზე ინფორმაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელ აქტებსა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები. თითოეული გარემოება, რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზს, სასურველია იყოს ცალსახად ფორმულირებული და არ არღვევდეს პროფესიული სტუდენტის უფლებებს;

2. რეკომენდებულია დაწესებულებამ კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშაოს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
2. აქტიური, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, არასრულწლოვანი და უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
3. გარე მობილობით გადმომსვლელი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მართვის დებულების** მე-3 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურებს, რომლის მიხედვითაც: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება მისი მიღებისათვის გათვალისწინებული პროცედურით, მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა დაცვით. შეცვლილი რედაქციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. დებულების ამავე მუხლით გათვალისწინებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური ან შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორი და გამოსცემს ბრძანებას პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-15 მუხლი არეგულირებს **მოდულური ან/და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესს,** რომლის მიხედვითაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების გამოცემის გზით, რომელშიც დეტალურად აისახება ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შემდგომი სამართალურთიერთობა კოლეჯთან, მათ შორის მათი შემდგომი უზრუნველყოფა პროფესიული განათლებით და ამ პროგრამის რესურსების გადანაწილების წესი, პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვით. პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რომელიც აერთიანებს ყველა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ შეცვალოს ან/და გააუქმოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის კოლეჯი აფორმებს ხელშეკრულებას/მემორანდუმს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულების ფარგლებში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

გ) თუ ზემოაღნიშნული პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულება არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი და სარგებლობს ასოციაციის ფარგლებში არსებული კოლეჯების საერთო სახელშეკრულებო პირობებით, რომლის ერთ-ერთი ნაწილით დარეგულირებულია ასოციაციის წევრ კოლეჯებში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცედურები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
2. დაწესებულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის საოქმო გადაწყვეტილება პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
3. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება, პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
4. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები არიან ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი და კოორდინატორი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის **დებულების** მე-6 მუხლში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს:

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 23 სექტემბრის №01/104 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია“, რომელშიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომპონენტები (პროგრამის მიმდინრეობისას; პროგრამის დასრულების შემდეგ); სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები: დაგეგმე; განახორციელე; შეამოწმე; განავითარე. შემოწმების ფორმების სახით დაწესებულებას შემუშავებული აქვს 4 ფორმა: კითხვარი მასწავლებლებისათვის; კითხვარი სტუდენტებისთვის; პროფესიული სტუდენტის კითხვარი (კოლეჯის ადმინისტრაციის მომსახურების, პროფესიული მასწავლებლისა და სასწავლო კურსების შეფასება); პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურმა წარმოადგინა ანგარიში განხორციელებული კვლევის შესახებ (2018 წელი). წლის განმავლობაში ჩატარებული 4 ტიპის კითხვარის ანალიზის დოკუმენტი ერთგვერდიანია და ნაკლებად ინფორმაციულია. არ მოიცავს გამოკითხულთა რაოდენობისა და თვისობრივი შეფასებების შესახებ ინფორმაციას, არ არის მოცემული შეფასებითი ანალიზი ან/და სტატისტიკა.

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 5 მარტის №01/17 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა“ და დირექტორის 2016 წლის 19 სექტემბრის №01/95 ბრძანებით დამტკიცებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესრულებული დოკუმენტაციის მონიტორინგი (სასწავლო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

კალენდარული გეგმა და სხვა), სტუდენტთა შეფასების მონიტორინგი, საგანმანათლებლო რესურსის მონიტორინგი, მატერიალური რესურსის მონიტორინგი, მასწავლებელთა მხარდაჭერის ღონისძიებები, გარე ფაქტორების ადაპტირება, მეცადინეობებზე დასწრება და მონიტორინგი და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები.ჯგუფის რეკომენდაციებს დაწესებულება ითვალისწინებს, კერძოდ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შევიდა ცვლილება ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და მოდულების მესამე ნაწილში.

ხარისხის მართვის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია და მოდულის კალენდარული გეგმის შეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნულ პროცესში სასურველია ჩაერთოს დარგის სპეციალისტები/სხვა მასწავლებლები, ან ვერიფიკაცია განახორციელოს შიდა მხარდაჭერის ჯგუფმა, ვინდაინ ერთი ადამიანი ფიზიკურად ვერ იქნება კომპეტენტური სხვადასხვა მიმართულების შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომელიც სრულად მოიცავს ინსტიტუციას და შეაფასებს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს;

2. რეკომენდებულია ხარისხის მართვის სამსახურმა შეიმუშაოს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, გეგმის მიხედვით განახორციელოს ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნებისათვის შეფასება/მონიტორინგი და გასცეს რეკომენდაციები პროცესების სრულყოფისათვის;

3. რეკომენდებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი დაკომპლექტდეს დარგობრივი ნიშნით და ჯგუფის მუშაობა წარმართოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული ნიშნით (მაგ. განათლების (ბაგა-ბაღის აღმზრდელი) მიმართულების დარგობრივი ჯგუფი, ფინანსების მიმართულების დარგობრივი ჯგუფი და სხვა). ამასთან, პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისა და მოდულის კალენდარული გეგმის შემოწმების პროცესი სასურველია განახორციელოს დარგის სხვა სპეციალისტებმა/მასწავლებლებმამ.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 23 სექტემბრის №01/104 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია“;
2. დირექტორის ბრძანება თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ 15.01.2018, ბრძ. N27; 15.02.2019, ბრძ.№11;
3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების შევსებული კითხვარები, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვების შევსებული კითხვარები, მეცადინეობებზე დასწრებების კითხვარები, ანგარიში;
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას საკუთრებაში აქვს ოთხსართულიანი შენობა დაზუსტებული ფართით - 1701 კვ.მ, მისამართზე - ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26, მათ შორის: სარდაფი - 400.48 კვ.მ; I – 398,53კვ.მ; II – 415,73 კვ.მ; III – 55,78კვ.მ. დაწესებულების საერთო დაზუსტებული ფართიდან სასწავლო ფართი შეადგენს 705,49 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26	1701,00

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან [redacted]

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, დეტალურად იხილეთ სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა

№	საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის ხანგრძლივობა/წელი	პროგრამის მოცულობა		სასწავლო გარემო		სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა (მაგადა, სკამი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა)	ქვოტა
			კრედიტი	საათი	მოდელი A, B, C	აუდიტორიის №		
1	ფარმაცია (სააფთიაქო)	2	120	3000	AC	20	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 2; კომპიუტერი (კომპლექტი) – 1; მონიტორი - 1; დაფა - 1; C გარემოს მატერიალური რესურსი სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით	120
					AC	22	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; კომპიუტერი (კომპლექტი) – 1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ქიმიური მაგიდა 2 (თითო ათადგილიანი), სკამი 10-10; მასწავლებლის მაგიდა, სკამი -1; C გარემოს მატერიალური რესურსი სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით	
					AC	24	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; კომპიუტერი (კომპლექტი) – 1; მონიტორი - 1; დაფა - 1; კომბაინი - 1; დაფა - 1, ფლიპჩარტი - 1; მასწავლებლის მაგიდა/სკამებით - 2 C გარემოს მატერიალური რესურსი სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით	
					A	3	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; კომპიუტერი (კომპლექტი) – 1; მონიტორი - 1; დაფა - 1; მასწავლებლის მაგიდა/სკამებით - 2	
					B	13	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 21; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 21; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ფლეშ მეხსიერება- 1; კომბაინი - 1.	
2	საექთნო განათლება	3	180	4500	AC	19	სტუდენტის მაგიდა/სკამი - 21 კომპლექტი; მასწავლებლის კომპიუტერი 1 - კომპლექტი; მონიტორი 1; დაფა - 1; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 2; C გარემოს მატერიალური რესურსი სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით	84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

					A	25	სტუდენტის მაგიდა/სკამი - 21 კომპლექტი; მასწავლებლის მაგიდა/სკამით - 2; მასწავლებლის კომპიუტერი 1 - კომპლექტი; მონიტორი 1; დაფა - 1; ფლიპჩარტი - 1	
					B	13	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 21; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 21; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ფლეშ მეხსიერება- 1; კომბაინი - 1.	
3	კბილის სატექნიკო საქმე	2	85	2125	A	12	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1;	30
					C	18	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; სატექნიკო მაგიდა სკამით - 15; მასწავლებლის მაგიდა სკამით - 2; დაფა - 1; ფლიპჩარტი - 1 C გარემოს მატერიალური რესურსი სრულადაა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით	
					B	13	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 21; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 21; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ფლეშ მეხსიერება- 1; კომბაინი - 1.	
4	საფინანსო სერვისები	1	51	1275	A B	16	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 15; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 15; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ფლეშ მეხსიერება- 1; კომბაინი - 1. ელექტრონული საბანკო პროგრამა - ალტა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი.	30
5	ღონისძიების ორგანიზება	1	61	1525	A	6	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 20; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 2; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1;	20
					B	13	სტუდენტის სკამი/მაგიდა - 21; სტუდენტის კომპიუტერი (კომპლექტი) – 21; მასწავლებლის მაგიდა/სკამი - 1; კომპიუტერი (კომპლექტი) –1; მონიტორი - 1; დაფა - 1; ფლეშ მეხსიერება- 1; კომბაინი - 1.	
					C	ღონისძიებების დარბაზი	C გარემოს მატერიალური რესურსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
2. საგანმანათლებლო პროგრამის - „კბილის სატექნიკო საქმე“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
3. საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
4. საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
5. საგანმანათლებლო პროგრამის - „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
6. საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი;
7. შპს „ალტა სოფვეართან“ გაფორმებული მემორანდუმი - 14.06.2018, №14062018-01; 09/27;
8. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კოლეჯი არის თელასის აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება. კოლეჯი არის GWP - ს აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. კოლეჯში მეორე სართულზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

განთავსებულია სველი წერტილები, რომლებიც გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. კოლეჯში არსებული სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ს 2011 წლის 27 აპრილს გაფორმებული №1111 ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯი მიერთებულია ქსელზე და უზრუნველყოფილია მუდმივი გაზმომარაგებით. კოლეჯი არის შპს „ ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ის აბონენტი [redacted]- [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
2. ქსელზე მიერთების აქტები;
3. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

<u>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</u>:

დაწესებულების მიერ დასამატებელი ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი ელექტრონულ ფორმატშია, რომლებიც ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში, ჩაწერილია CD დისკებზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში. წიგნადი ფონდის კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი).

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/28 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. წესში გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, კოლეჯის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები, მკითხველთა პასუხისმგებლობა; ბიბლიოთეკის მუშაობის დრო.

დაწესებულებაში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური 2 პირი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმართულებით.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“;
2. საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
3. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“;
4. საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“;
5. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“;
6. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
7. წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8. CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
9. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
10. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები;
11. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 61 კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 49, ბიბლიოთეკაში განთავსებული 3 კომპიუტერი, ხოლო დაწესებულების მართვაში - 9 კომპიუტერი.

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის იყენებს 13 ცალ მონიტორს, 5 ცალ კომბაინს.

კოლეჯი არის შპს „ახალი ქსელების“ აბონენტი, რომელიც დაწესებულებას უზრუნველყოფს უწყვეტი სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირით. უსადენო წვდომის წერტილი დამონტაჟებულია ყველა სართულზე და ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა- info@orientiri.edu.ge და ვებგვერდი - www.orientiri.edu.ge. კოლეჯი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - „www.orientiri.ge” წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის, რისთვისაც 2006 წლის 12 აპრილს გაფორმებულია №6435 ხელშეკრულება - “.GE დომენური სახელის რეგისტრაციასა და ტექნიკურ მომსახურეობაზე.”

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. ვებგვერდი www.orientiri.edu.ge;
3. info@orientiri.edu.ge
4. შპს „ახალი ქსელების“ აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
5. 2006 წლის 12 აპრილის №6435 გაფორმებული ხელშეკრულება “.GE დომენური სახელის რეგისტრაციასა და ტექნიკურ მომსახურეობაზე.”
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საქმისწარმოებას არეგულირებს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია.“ დაწესებულებაში საქმისწარმოების განხორციელებაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ეწევა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. სამსახურს ხელმძღვანელობს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომლის უფლებამოსილებანი გაწერილია დაწესებულების საქმისწარმოების წესის მე-3 მუხლში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი მდგომარეობა. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა შიდა მარეგულირებელი წესის მიხედვით. წარმოდგენილ იქნა ბრძანებების, ხელშეკრულებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესის მიხედვით. დაწესებულება იცავს საქმისწარმოების წესს.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია.“
2. საქმისწარმოების წესით დამუშავებული დოკუმენტები;
3. დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები;
4. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
5. ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის 23-ე მუხლი არეგულირებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგად წესებს, რომლის მიხედითაც: კოლეჯის ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმირებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლის მეთვალყურეობის გარეშე აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შემოტანა. ხანძარჩამქრობი მოწყობილობა სავალდებულოა განთავსდეს კოლეჯის თითოეულ სართულზე დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

შინაგანაწესის 24-ე მუხლში მოცემულია ლაბორატორიებში დასაცავი ხანძარსაწინააღმდეგო წესები. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ შესაბამისი სასწავლო თუ პრაქტიკული დისციპლინის პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შემდეგ, რომელიც მოიცავს ლაბორატორიაში ქცევის ზოგად წესებს, აგრეთვე იმ მასალებთან მოპყრობის წესებს, რომელზეც მუშაობა პროფესიულ სტუდენტს მოუწევს სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის ათვისებისას. ლაბორატორიული სითხეები, ფხვნილები და სხვა რეაქტივები შეიძლება ინახებოდეს მხოლოდ თავსახურიან, ცეცხლგამძლე მინის ჭურჭელში. მათი ჭურჭლიდან ამოღება შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ცდის ჩატარებისათვის აუცილებელი ოდენობით. დაუშვებელია ცდის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთიერების ლაბორატორიაში დაულუქავ მდგომარეობაში დატოვება. აღნიშნული ნარჩენი ექვემდებარება განადგურებას ლაბორატორიული მეცადინეობის დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ. სალაბორატორიო ავეჯი განთავსებული უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ოთახის თითოეული წერტილიდან გადაუდებელი ევაკუაციის შესაძლებლობა. აკრძალულია ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის დროს ლაბორატორიაში დაცული ნივთიერებების გამოტანა, ასევე გარდაუვალი საჭიროების გარეშე, დაკეტილი ლაბორატორიის გახსნა.

შენობის გარეთ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები გაწერილია შინაგანაწესის 25-ე მუხლში. კოლეჯის ტერიტორიაზე, კოლეჯის შენობის გარეთ აკრძალულია: ა) სიგარეტის მოწევა ადვილადაალებადი ნივთიერებების, მათ შორის ფოთლების გროვების, ქაღალდის, რეზინის და მსგავსი ტიპის ნივთიერებათა ახლოს, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ახლოს; ბ) სიგარეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ნამწვავების ძირს დაგდება; გ) კოლეჯის შენობიდან, ასევე კოლეჯის ტერიტორიიდან გამოსასვლელი გზების ჩახერგვა; დ) ხანძარსაწინააღმდეგო განგაშის დროს კოლეჯის შენობაში შეღწევა ან კოლეჯიდან გამოსასვლელი გზების ბლოკირება.

შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომლებიც ვარგისია ექსპლოატაციისათვის. დაცულია ცენცხლმაქრი საშუალებების გადამუხტვის ვადები.

ბ) დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სათანადო უწყებასთან შეთახმებული და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. კოლეჯის შენობიდან ევაკუაციის წესები დარეგულირებულია დაწესებულების შინაგანაწესის 26-ე მუხლით. კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გეგმური და საგანგებო გასასვლელი. გასასვლელების ადგილმდებარეობა აღინიშნება კოლეჯის შენობის თითოეული ნაწილიდან ხილვადი, საევაკუაციო მიმართულების აღმნიშვნელი მწვანე ფერის ისრებით. ევაკუაციის განგაშის შემთხვევაში, ადგილზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელთან და მეთვალყურეობენ შესაბამის სართულზე მდებარე ყველა თანამშრომლის, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის/პრაქტიკის ხელმძღვანელის კიბეზე გადასვლას. კიბეზე ჩასვლის პროცესში დაუშვებელია ქვემო სართულიდან გამოსული ნაკადისათვის ხელის შეშლა, გზის ჩახერგვა.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები დარეგულირებულია კოლეჯის შინაგანაწესის 27-ე მუხლით. კოლეჯის ყველა თანამშრომელი თუ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩააყენოს საქმის კურსში კოლეჯის ადმინისტრაცია ყველა ისეთი დაავადების შესახებ, რომელიც უეცარი, გაუთვალისწინებელი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შეტევის წარმოშობის შესაძლებლობას ითვალისწინებს (დიაბეტური შოკი, ეპილეფსიური გულყრა, მწვავე ალერგიული რეაქცია და მსგ.).

კოლეჯის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, ავადმყოფი მიმართავს კოლეჯის ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიცილებას კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტამდე. კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი უზრუნველყოფს შესაბამისი პირისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას. კოლეჯის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის თავისი ინიციატივით დატოვების სურვილის შემთხვევაში, ავადმყოფი სპეციალურ ჩანაწერს აკეთებს სამედიცინო პუნქტის ჟურნალში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ დარჩეს სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მოსვლამდე.

დაწესებულებას ჰყავს 2 კვალიფიციური მედდა, რომლებიც ხელმძღვანელობენ დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/28 ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო სამსახურის ინსტრუქციით.“ ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას დადგინდა, რომ დაწებულებაში პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირები საქმიანობისას აწარმოებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მომართვიანობის ჟურნალს, ახორციელებენ სამკურნალო საშუალებების ვარგისინობის კონტროლს და შიდა მარეგულირებელი აქტებით გაწერილ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარითა და შექმნილია შესაბამისი გარემო.

დ) დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის მექანიზმები მოცემულია შინაგანაწესის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვითაც კოლეჯის ტერიტორიაზე იკრძალება: ა) ალკოჰოლის მიღება; ბ) ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების კონტეინერით (ქილა, ბოთლი და სხვა) გახსნილ მდგომარეობაში გადაადგილება; გ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა; გ) კოლეჯის შენობაში თამბაქოს მოწევა; დ) ცეცხლსასროლი ან/და სხვა სახის ცივი იარაღით გადაადგილება; ე) ასაფეთქებელი ნივთიერებების შემოტანა; ვ) ცეცხლის დანთება; ზ) ცეცხლსაქრობი მოწყობილობების და განგაშის სიგნალის უმიზეზოდ გამოყენება ან/და დაზიანება; თ) განგაშის სიგნალის დროს ტერიტორიის არ დატოვება; ი) ცოცხალი ცხოველების (ფრინველების, მწერების, ამფიბიების, რეპტილიების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების) უნებართვო შემოყვანა; კ) ისეთი ნივთიერებების შემოტანა, რომელთა გამოყენებასაც შესაძლოა მოჰყვეს ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან ქონების დაზიანება; კოლეჯის ტერიტორიაზე დაწესებული აკრძალული მოქმედებების განხორციელება გამოიწვევს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ადექვატური ღონისძიებების გატარებას, მათ შორის: ა) პირი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა და განხორციელდეს აღნიშნულის შესახებ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება; ბ) ჯანმრთელობისათვის სახიფათო ნივთიერების შემოტანისას, აღნიშნული ნივთის ჩამორთმევას და საკითხის მოსაწესრიგებლად შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის ჩართვას; ფეთქებადი ნივთიერებების კოლეჯში აღმოჩენისას ან ასეთის არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს: ა) პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელების, თანამშრომლების და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების ტერიტორიიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება; ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ კოლეჯის ტერიტორიიდან; გ)სამართალდამცავი სტრუქტურის შესაბამის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება.

დაწესებულებას ჰყავს წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი 3 პირი, მათ შორის 1 უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, 2 - დაცვა. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმები;
2. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
3. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/28 ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო სამსახურის ინსტრუქცია“;
4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

<u>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</u>:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის. შენობის ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა. სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი განლაგებულია შენობის მეორე სართულზე. დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №01/99 ბრძანებით შშმ პროფესიულ სტუდენტთა დახმარების ხელშეწყობა ევალება სამეურნეო სამსახურის მენეჯერს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №01/99 ბრძანება - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დამხმარე თანამშრომლის გამოყოფის შესახებ;
2. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შპს „ახალი ქსელების“ აბონენტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება უწყვეტი ინტერნეტკავშირის ფლობის შესახებ. „.GE“ დომენური სახელის რეგისტრაციასა და ტექნიკური მომსახურეობაზე დაწესებულებას 2006 წლის 12 აპრილის №6435 გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტის განვითარების ჯგუფთან - „საქართველო.“ კოლეჯის ვებგვერდია www.orientiri.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, კოლეჯის განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვებგვერდი www.orientiri.edu.ge;
2. შპს „ახალი ქსელების“ აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
3. 2006 წლის 12 აპრილის №6435 გაფორმებული ხელშეკრულება “.GE დომენური სახელის რეგისტრაციასა და ტექნიკურ მომსახურეობაზე.”
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის №01/01 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს ინსტიტუციური, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარების, მოდულური პროგრამების დანერგვა და განვითარების, პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის განვითარებისათვის მიმართულ ღონისძიებებს. დაწესებულების სამოქმედო გეგმების შემუშავება ეფუძნება SWOT ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს კოლეჯის მენეჯმენტის ხედვებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს №01/62 ბრძანებით. გეგმა გაწერილია 2018 წლის აგვისტოდან 2019 წლის აგვისტოს ჩათვლით. გეგმაში მოცემულია აქტივობები საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის მუდმივი განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პერმანენტული განვითარების და ხარისხის გარე მოთხოვნების დაკმაყოფილების, საგანამანათლებლო მიზნებისთვის (ყოველი ახალი პროგრამის დამატების შემთხვევაში) მატერიალური რესურსის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულყოფის, ვებგვერდის პერმანენტული ფორმირების, ბაზრის კვლევის, პროგრამებთან მიმართებაში საზოგადოებრივი მოთხოვნის ანალიზის, სტუდენტთა მოზიდვის კამპანიის წარმოების, ახალი მიმართულებების მოდულური პროგრამის ადაპტირება და დამტკიცების, პროგრამის დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ტრენინგების ჩატარებისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობის გაძლიერების მიმართულებით. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში დაწესებულებას წლიურ გეგმაში დაგეგმილი აქვს ისეთი აქტივობები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი სამსახურების სტანდარტულ საქმეს, რაც გაწერილია კოლეჯის დორექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში (მუხლი 6, პუნქტი 6.3, ქვეპუნქტები: გ), ვ), ზ); პუნქტი - 6.5, მუხლის 7 და ა.შ; კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის წესში/გეგმაში) ან ცდება დაწესებულების კომპეტენციას. კერძოდ:

- წლიურ გეგმაში **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებში მოცემულია:** აქტივობა №1.2 - სხვადასხვა პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარებით, სხვადასხვა მოდულის მასწავლებელთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, შიდა მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

მოდულზე/გაკვეთილზე დასწრება, მოდულით განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, გეგმიური შეხვედრები (წლის დასაწყისში და სექტემბრის თვეში) ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და 3-4 შეხვედრა საჭიროებიდან გამომდინარე; აქტივობა №1.2.4 - გარე მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფა (ცენტრის გრაფიკი წინასწარ არაა ცნობილი);

- ამავე გეგმის მიხედვით **სასწავლო პროცესის ორგანიზებისკენ მიმართულ აქტივობებში მოცემულია:** აკადემიური კალენდრის შემუშავება, მასწავლებელთა პორტფოლიოს მონიტორინგი, პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოს მონიტორინგი და სხვა.

- ამასთან, დაგეგმილი ცალკეული აქტივობებისთვის არ არის განსაზღვრული მათი განხორციელების პერიოდი, კერძოდ: აქტივობა №4.2.1 - ტრენინგის დაგეგმვა კალენდარული გეგმების შედგენის მიზნით, ტრენინგის დაგეგმვა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით; აქტივობა №1.5.2 - კვლევის შედეგების გამოყენება პროგრამის შესარჩევად.

- წლიურ გეგმაში ასევე დაგეგმილია აქტივობები, რომელთა შესრულება დაწესებულების კომპეტენციებს ცდება, პასუხისმეგებელ პირებშიც შესაბამისად განსაზღვრულია სხვა დაწესებულება. მაგალითად, აქტივობა №2.1.5 - ექსპერტთა ვიზიტის განხორციელება (პასუხისმგებელი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა აზრით სასურველია დაწესებულებამ წლიური სამოქმედო გეგმის აქტივობები შეარჩიოს არა ყოველდღიური საქმიანობიდან, არამედ მიმართული იყოს დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისთვის.

დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს, კერძოდ კოლეჯის ვებგვერდზე გათავსებულია 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის თაობაზე ჩანაწერი მოცემულია 2016-2021 სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივად განახორციელებენ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულება. გეგმებით დასახული მიზნების მიღწევაზე მონოტორინგის საშუალებით მოხდება დაკვირვების შედეგების მოპოვება/გაანალიზება/ შეფასება, რისი საშუალებითაც შესაძლებელია გეგმიდან „აცდენის“ დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი პრობლემის დადგომამდე. გეგმის განხორციელების პროცესში გამოვლენილი პრობლემები საჭიროებენ სიღრმისეულ ანალიზს, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებას და მათი ნეგატიური გავლენის აღმოფხვრას.

სასურველია დაწესებულებამ გამოყოს კონკრეტული სტრუქტული ერთეული ან პირი, რომელიც განახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს და განსაზღვროს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმების შედგენის დროს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით გაითვალისწინოს და დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელიც არ წარმოადგენს თანამშრომელთა ყოველდღიურ/ძირითად საქმიანობას/ვალდებულებას, რაც ექსპერტთა აზრით უკვე ისედაც განსაზღვრულია მათი სამუშაოს აღწერილობებით, არამედ სამოქმედო გეგმის შედგენისას შეარჩიოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ინსტიტუციური განვითარებისკენ და წარმოადგენს სიახლეს ან პროცესების გაუმჯობესებას დაწესებულებისათვის, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის სტრატეგიულ განვითარებას;

2. რეკომენდებულია დაწესებულებამ წლიურ გეგმაში განსაზღვროს თითოეული აქტივობის შესრულების რისკები, საჭირო რესურსები (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური) და სრულად მიუთითოს თითოეული აქტივობის განხორციელების პერიოდი/ვადები.

3. რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმებში დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელთა შესრულების პასუხისმგებლობას თავად აიღებს.

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაადგინოს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა და განსაზღვროს კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, პირი ან განსაზღვროს ჯგუფი, რომელიც განახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2016 წლის 11 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს №01/62 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანების დამტკიცებული შინაგანაწესის მე-4 მუხლი არეგულირებს კოლეჯის თანამშრომლების სამსახურში მიღების წესს, შრომითი ხელშეკრულების დადებისას (სამუშაოდ მიღებისას) წარსადგენი დოკუმენტების ნუსხასა და პირობებს. თანამშრომლის სამსახურში მიღებისას და განთავისუფლებისას კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით. კოლეჯში თანამშრომლები შეირჩევიან როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, შესაძლებელია საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, პირი თავდაპირველად დაინიშნოს გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს ექვსი თვისა. კოლეჯის დირექტორს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს ასეთ პირთან შრომითი ხელშეკრულება და დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის №01/26 ბრძანებით დამტკიცებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია დაწესებულების მიერ განსაზრვრულ მოთხოვნებთან. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტებისა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

<u>**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**</u>

1. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანების დამტკიცებული შინაგანაწესი;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის №01/26 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ არ არის კონკრეტულად განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ზოგადი ჩანაწერი მოცემულია დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **დებულების** მე-17 მუხლით. კერძოდ, „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მოთხოვნები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად“. სასურველია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში დააზუსტოს პერსონალის საკვალიფკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა თითოეულ პერსონალთან მიმართებით, განიხილა პირადი საქმე და მათი პროფესიული გამოცდილება, რომლის მიხედვითაც დაადგინა, რომ ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს შესაბამისი მოდულის სწავლებას.

კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 21 მასწავლებელი. დაწესეულების მიერ **კბილის სატექნიკო საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/21 შეადგენს 1,47-ს.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 31 მასწავლებელი. დაწესეულების მიერ **ფარმაციის (სააფთიაქო)** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 120 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 120/31 შეადგენს 3.87-ს.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 48 მასწავლებელი, მათ შორის კლინიკური მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია 12 პირი. დაწესეულების მიერ **საექთნო განათლების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 84 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 84/48 შეადგენს 1.75-ს; კლინიკურ მოდულებში ჩართული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა 84/12 შეადგენს 7-ს. მათ შორის: პროგრამის პრაქტიკული/კლინიკური კომპონენტის განსახორციელებლად დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის № 01/109 ბრძანების საფუძველზე დაწესებულებამ ჩაატარა ტესტირება უცხო ენასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ტესტირებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულების მიერ შერჩეულ იქნა 12 ექთანი (სპეციალური დროებითი კოლეგიალური ორგანო- კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმი №2, 29.01.2019), რომელთაგან თითოეული მოიაზრება ჩამოთვლილი კლინიკური მოდულების განმახორციელებლად, მიუხედავად იმისა, თუ რა პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში არიან ისინი დასაქმებული

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის მოვლა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მოვლა
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის მოვლა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მოვლა
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
- კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

ბუნდოვანია:

იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში დასაქმებულ პირს შეუძლია განახორციელოს ან უხელმძღვანელოს შემდეგ მოდულებს: კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები, ვინაიდან აღნიშნული დაწესებულება ახორციელებს ჯანდაცვის სერვისებს შესაბამისი მიმართულებით, თუმცა, კოლეჯის მიერ შერჩეული იგივე ექთანი, პროგრამის მოდულების თანახმად, ამავდროულად ახორციელებს ისეთ კლინიკურ მოდულებს, როგორიცაა: კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ფსიქიატრია; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია; კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა, მაშინ როდესაც იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს არ აქვს უკანასკნელ სამსახურზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი/სამსახური/განყოფილება (კორპორაცია სს „ევექსის ჰოსპიტლებიდან“ ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახური განთავსებულია მხოლოდ ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში).

თუმცა, საექთნო განათლების კლინიკურ მოდულებს ჰყავთ რამდენიმე განმახორციელებელი და ექსპერტთა შეფასებით, ამ მოდულების სრულფასოვან განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 15 მასწავლებელი. დაწესეულების მიერ **ღონისძიების ორგანიზების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 20/15 შეადგენს 1.33-ს.

საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 21 მასწავლებელი. დაწესეულების მიერ **საფინანსო სერვისების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/21 შეადგენს 1.47-ს.

პერსონალის შესახებ ინფორმაცია შეტანიალია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. რეკომენდებულია კოლეჯმა სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკური მოდულების განხორციელების დაგეგმვისა და პასუხისმგებელი პირების/ექთნების შერჩევის დროს, გააანალიზოს ამ დაწესებულებათა პროფილი, მათ ბაზაზე არსებული ჯანდაცვის სერვისები და შესაძლო სამედიცინო მომსახურების სფერო. შედეგად კი, აქ შერჩეული პირები/ექთნები ადექვატურად შეძლებენ ამა თუ იმ მოდულის სწავლებას/ხელმძღვანელობას შესაბამის კლინიკურ გარემოში, სადაც ისინი თავად ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას, რაც მნიშვნელოვანია მოდულის სწავლის შედეგის მისაღწევად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. საგანმანათლებლო პროგრამა - „კბილის სატექნიკო საქმე“;
2. საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
3. საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“;
4. საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“;
5. საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“;
6. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
7. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
8. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
9. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-4 მუხლი არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლების და პრაქტიკის ხელმძღვანელების შერჩევის წესს, რომლის მიხედვით ისინი შეირჩევიან როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე ღია და საჯარო კონკურსის ჩატარების გზით. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე კონკურსის წესით პირის არჩევისათვის კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დგინდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაძლებელია საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად პირი თავდაპირველად დაინიშნოს გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადით პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს ექვსი თვისა. კოლეჯის დირექტორს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს ასეთ პირთან შრომითი ხელშეკრულება და დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან გაანთავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

ექსპერთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი აქტებისა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/ დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კბილის სატექნიკო საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში 0911	85	115	ქართული ენა	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26	0	30
2	ფარმაცია (სააფთიაქო)	მეხუთე საფეხური/დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). ა) 0916; ბ) 090352	120	150	ქართული ენა	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26	0	120
3	საექთნო განათლება	მეხუთე საფეხური/დონე	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/ (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). ა) 0913; ბ) 090554	180	210	ქართული ენა	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26	0	84
4	ღონისძიების ორგანიზება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 0413;	61	91	ქართული ენა	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26	0	20
5	საფინანსო სერვისები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში; 0412	51	66	ქართული ენა	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. № 26	0	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 4 იანვრის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული **სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

დანართი 3. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს №01/62 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

დანართი 4. შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №01/29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ (დანართი №3- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ)

დანართი 5. შპს „ორიენტირის“ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები (2018)

03.08.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Shorena Khubunaia

Digitally signed by Shorena Khubunaia
DN: cn=Shorena Khubunaia, serialNumber=39001009123, o=Citizen, c=GE
Date: 2019.08.03 10:48:26 +04'00'

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Irine Pkhakadze

Digitally signed by Irine Pkhakadze
DN: cn=Irine Pkhakadze, serialNumber=60001015900, o=Citizen, c=GE
Date: 2019.08.03 11:30:30 +04'00'

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)